საქართველო

24248-01-2-201806061727

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/24248
06/06/2018

სასწრაფო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქ-ნ მაია ლაგვილავას

ქალბატონო მაია,

გაცნობებთ, რომ მ.წ. 26 ივნისს ქ. ბრიუსელში დაგეგმილია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეოთხე სხდომა, რომელიც, როგორც წესი, იმართება მინისტრის მოადგილეების დონეზე. როტაციის პრინციპის თანახმად, წელს, ევროკავშირის მხრიდან, სხდომას გაუძღვება საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიისა და ეუთო-ს დირექტორატის ხელმძღვანელი ლუკ დევინი, ხოლო ქართულ დელეგაციას სხდომაზე ვუხელმძღვანელებ პირადად.

აქვე გაცნობებთ, რომ კომიტეტის სხდომის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართება მ.წ. 12 ივნისს 17:00 სთ-ზე, რომელსაც გავუძღვები პირადად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გიგზავნით ევროკავშირის მიერ მოწოდებულ სხდომის დღის წესრიგის მოკლე ვერსიას (დეტალურ დღის წესრიგს მიღებისთანავე მოგაწვდით; ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ წინასწარი ინფორმაციით, ახალი დღის წესრიგი არ იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა წლის ვერსიისგან, მეტი კონკრეტიკისთვის, თან ვურთავთ გასული წლის ასოცირების კომიტეტის სხდომის დეტალურ დღის წესრიგს). გთხოვთ გვაცნობოთ, თქვენი მხრიდან თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას როგორც ასოცირების კომიტეტის სხდომაში, ასევე სხდომის მოსამზადებელ შეხვედრაში.

დანართის სახით, გიგზავნით გასული წლის სხდომის სამოქმედო დასკვნებს, რომლითაც შეგიძლიათ, კომპეტენციის მიხედვით, იხელმძღვანელოთ მოხსენებების მომზადებისას.

დანართი: 14 გვ.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge